ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №307

24 ნოემბერი 2014 წ.

ლალი თოდრიას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო და საოქმო მომსახურების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტისა და „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N53 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 24 ნოემბრიდან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – საკადრო და საოქმო წარმოების საკითხებში ლალი თოდრია.
2. დაინიშნოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო და საოქმო მომსახურების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლად ლალი თოდრია.
3. თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N3 –ის დანართის შესაბამისად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქუჩა № 4
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ზაალ მამალაძე

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*